

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის



რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამაგრ. საზოგადოების კანცელიარიის ფასი განცხადებას: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეორეზე—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

წმ. ნინოს საზოგადოების თელავის განყოფილების ბაზეთი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მსურველნი მიღებულ იქნებიან 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს; 1 სექტემბერს გამოცდებიან ისინი, რომელთაც ხელ-მეორე ვეზამენი აქვთ დანიშნული, და 3 სექტემბერიდან დაიწყება მეცადინეობა.

თსუენასთან ერთად, რომელიც ესწავლება შეიძლება გამოიკვანოს სასწავლებლის მთავრობის სახელმძღვანელოდ, უნდა წარმოადგინონ იქნას მოწმობა და ბაღაბანათლობისა, ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობისა და ზირობის ქაღალდი იმის შესახებ, რომ სწავლის ფული წინდაწინ იქმნება გარდასდილი ყოველ ნახევარ წლისა.

მსურველთა სწავლიან სომხურს ენასა და მუსიკას განსაკუთრებული საფასით, რომელიც აგრეთვე წინდაწინ უნდა იქმნეს შეტანილი.

სასწავლებლის ზანსიონში საცხოვრებლად მსურველმა წელიწადში 180 მან. უნდა გარდასცემოს და ამ ფასად მოსწავლე მიღებულ იქმნება სრული საზრჯით, ნახევარ სარჯსად შესვლის მსურველთ უნდა გარდასცემოს 90 მან. და გარედან მოსიარულეთ წელიწადში—30 მან. მუსიკის სწავლებისათვის—54 მან. და სომხურის ენის სწავლებისათვის იმის კვალობაზე, რამდენი მოსწავლე ისწავლის ამ ენას და რამდენი გაკვეთილი იქმნება დანიშნული კურსი პროცინაზიულია.

(3-უ-2)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამკვობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადცა შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაჯავბით იწინება მარტო ამხანაგობის კაოსში აუდაბა. ქ. ტფილისში, ღორას-მედიკოსის ქუჩაზე.

ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად: თსულებსანი ზღ. უზბეკისა ატორას სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე. 1—

თსუ. ა. დაკითხვილასა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი —50

დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონაშვილისა ლეკენდა-შოკვა ბახანასა —10

ბელო, მოთხრობა ნ. მელანასა (მსკედონიმა) —20

თსუ. ა. ჭავჭავაძისა, ატორას სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი —70

იგავე II ტომი —60

იგავე III ტომი —60

იგავე IV ტომი (ორ წიგნით) —80

სოფლის კუნწუჯა დ. მანსაქისა —10

თსულებსანი აკაკისა I ტ. —60

„ იგავე II ტ. —60

თსუ. რ. კრისტაფისა I ტ. —60

არაკება სახა ორბელიანისა, ბაკუბისათვის —25

სამხრეთ-სიბერეუკი მისივე —40

საქართველო და მისი წარსული დრო პოეტისა —20

აიგავე გალტერ სკოტისა —50

აღ-მაქაბ-ხანის შემოკლება ტფილისში —15

გაბრიელ ეპისკოპოსისა სურათით, სამზარეულო ქართული და კერძბიული საჭმელებისა 1—20

ღვინის დაყენება პროფესორისა ვ. შუტრაშვილისა 1—50

ბაღაბანი —30

ცენტრალთა და მსკედიითა —80

დასტურ-ღამა —10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთობათ 14 მანეთით ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ეურნალი „მომამე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ. —7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ. —5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მომამე“-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10-5-7)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუთხაში, ვორანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11-12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩაქოვანი, 9-10 საათ. სნეულეზანი: შინაგანი, თვლისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ო. რუდენკო. 10¹/₂-11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტრის.

ზ. ო. ბახანასანი. —დილის 11¹/₂-12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაბეტიანი. 1-1¹/₂ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურგო. 1¹/₂-2¹/₂ ს. შინაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით: გ. მ. მახვილაძე. —6-7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულეზ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6¹/₂-7 საათ.

ტ. ო. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიგებისა უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра Навасардиана.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

(წ)

პეისრულოზ

ბაქსანიას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

ალმანახი ალმანახი და ნიშნული-რომპის.

ალმანახი ბრიტანის ძმ სემპოვი. დაბარატორის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 567.

(50-80-49).

მთავრობის განკარგულებანი

ებობათ. სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: ტიტულარნი სოკეტნი: გობა-ქ. ტფილისის 1 ნაწ. სასამართლოს ბოქაუჯს ნათიშვილს; კოლეჯ სკო სეკრეტობა—ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მხსელეს უნაძეს; კოლეჯსკო რეგისტრატორობა—ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მხსელეს რატიშვილს.

დათხოვილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, ტფილისის პოლიციის მხსელე, კოლეჯსკო რეგისტრატორი ქორქია.

ახალი ამბავი

* მცხეთის საპატრიარქო ტაძრის განახლების საქმის გამგე კომიტეტის თავმჯდომარემ, მაღალ-ყოველად-უსამღდელოესმა საქართველოს ექსარხოზმა შემდეგი დებეში მიიღო მისი იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგან:

„წავიკითხე რა თქვენი მოწოდება, ჩემი მეუღლე და მე დიდას საიმოვნებით გწირავთ 2,000 მანეთს კავკასიაში ჩვენის უმჯობესისა და მცხეთის ტაძრის განსახლებლად. ალექსანდრე მიხეილის ძე“.

ამ დებეშის მიღებისათნავე კომიტეტის წევრთ ერთ-ხმად გარდასწყვიტეს: კვირას, 19 ივლისს, გარდაიხადონ სიონის ტაძარში პარაკლისი მისი იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრისა და იმის უავე-გუსტოეს სახლობის დღეგრძელობისათვის.

* კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი ტფილისში ჩამოვა 20 ივლისს და იმავე დღეს წავა კოჯორში.

* კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ფრეზეს კავკასიის სტიპენდიანტებად დაუნიშნავს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ვლადიმირ მირაქოვი და ნიკოლოზ გილულიანოვი.

* ტფილისის სახელმწიფო ბაღების გამგე ნახვავლი ბაღისანი. ა. ა. გინცენბერგი გუშინ წინ საზღვარ გარეთიდან ტფილისს დაბრუნდა.

* მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში ამ ყამად დაუწყია მოლაპარაკება გურგინბეგოვებთან 22 დესტინის მიწის ყიდვის შესახებ ტფილისის საბოტანიკო ბაღის გასაფართოებლად.

* 15 ივლისს, შუაღამის 3 საათზედ, ავლაბრის სირაჯხანაში სტეფანოვის სპირტის საწოებს ცეცხლი გაუჩნდა. ამ საწოებში დიდ-ძალი სპირტი ყოფილა, რომელსაც მაშინვე მოჰკიდებია ცეცხლი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ძლივს გადაარჩინა ცეცხლს ახლო-მახლო სახლები. ცეცხლი დილის შვიდ საათზედ ჩაქრეს. სტეფანოვის დიდი ზარალი მოუვიდა.

* ამ დღეებში ჩამოვილენ კავკასიაში გერმანელი სტუდენტები, რომელთაც აზრად აქვთ დათვლიონ რომ ბათუმი, ტფილისი, ბაქო და კავკასიის სხვა ქალაქები. სტუდენტებს თან ორი პროფესორიც მოსდევს.

* როგორც მკითხველებმა უკვე უწყინ დუშეთის თვით-მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დუშეთში დააარსონ წიგნთ-საცავ-სამკითხველო განსვენებულის ა. ს. როინაშვილის სახელობაზედ, რომელსაც სიცოცხლის დროს შეაწირა დუშეთს 560

რუსული და ქართული წიგნი და ავეჯი წიგნთ-საცავის მოსაწყობად. ამ შემოწირულების გარდა ქალაქის თვით-მმართველობას აზრად აქვს ყოველ წელიწადს გადასდოს ფული წიგნთ-საცავის სასარგებლოდ და უსასყიდლოდ დაუთმოს მას სადგომი, მოსამსახურე და თავისი ხარჯით გაანათოს და გაათბოს.

* ტფილისის საბაღოსნო სკოლის შენობის ცეცხლის წაყიდების საქმის გამოძიება პოლიციამ მესამე მომრიგებელ-სასამართლოს გამოძიებელს გადასცა, რომელიც უკვე შეუდგა გამოძიებას.

* ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილებანი შემდეგს ადგილებში წავა სხვა-და-სხვა საქმეების გასარჩევად: გორსა, სადაც 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დაჰყოფს; ახალქალაქსა—22—26 სექტ., ახალციხესა—28 სექტ. 7 ოქტ.—მდე; თიონეთსა—12—15 სექტ.; დუშეთსა—19 სექტ. 3 ოქტ.—მდე; თელავსა—7—15 ოქტ.—მდე; სიღნაღსა—19—29 ოქტ.—მდე და ზაქათალაში—4-დგან 10 ნოემბრამდე.

* ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტსა და საქალაქო სასწავლებელში (მხოლოდ 1 კლასში) მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 25 აგვისტოს.

* ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში შეჩერებულ იქმნა მეცადინეობა პირველ სექტემბრამდის, რის გამოც მოსწავლენი დათხოვილ იქმნენ ამ დრომდის. სექტემბერში გამოსცდიან იმ მოსწავლეთ, რომელნიც ამ სასწავლებლის მთელის კურსის სწავლას ამთავრებენ.

* რადგანაც აზრად აქვთ მომავალ წელს კავკასიის მეფუტკრეთა კრება მოახდინონ, რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოებამ წინადადება მისცა ზოგიერთ პროფესორს მონაწილეობა მიიღონ ამ კრებაში. ამ წინადადებას სიხარულით მიეგებნენ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები გ. ა. კოვენიკოვი და ი. ა. კაბლუკოვი, რომელნიც დაპირდნენ კრებას დავესწრებით აგვისტოს პირველ რიცხვებშივე. ამასთანავე, რომ უფრო მეტმა მეფუტკრემ მიიღოს მონაწილეობა და დაესწროს კრებას, ხსენებულმა საზოგადოებამ გამოუგზავნა მომავლის კრების მდივანს ნ. ნ. შავროვს 100 ვერცხლის „შეტონი“ მითთვის დასარიგებლად, ვინც კრების წევრად ჩაეწერება.

* ქუთაისის გუბერნიის წყალტუბნის სამკურნალო წყლების ჯგროვან წეს-რიგზედ მომართვა-მოწყობის საქმე განსახილველად წარდგენილი კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობის წინაშე.

ტფილისის სახელოსნო გამგეობაში მოსამსახურეთ მიმართეს ტფილისის გუბერნატორს და საერთო თხოვნა მიართვეს. მოსამსახურენი სთხოვეს გუბერნატორს, რაიმე ღონე იღონეთ ხელოსანთა მოურავის ბნ სერობიანის წინააღმდეგ, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ჯაბიგირს არ გვაძლევსო. ამის საბუთად სერობიანი იმას ასახელებს, რომ გამგეობის კასსაში ფული არ არისო, ჩვენ კი ნამდვილად ვიცით, რომ სერობიანს მოკრებილი ფული თან მიაქვს და შინ ინახავსო. თხოვნაში აწერილია ის გაკირვებული მდგომარეობა, რომელშიაც მოსამსახურენი ჩაკვირვულად უფულობისა გამო, სახლის-პატრონები ბინაზედ აღარ გვაყენებენ, ნისიად აღარც პურს, აღარც ხორცს აღარ გვაძლევდნენ და სხვა. ნუთუ ასე გაკირდა ბნ სერობიანის ალაგვა და სახელოსნო გამგეობაში წესიერების დამყარება?!

11 ივლისს, შუალამისას, ტფილისის მაზრის სოფელ ვაშლოვანში ორი შეიარაღებული თათარი თავს დაეცა ადგილობრივის მცხოვრებლის გაბრიელ ხაღურიშვილის ღუბანს. ბოროტ-განზრახველთ გაძარცვის თვით მელტქენ და ამ დროს ღუბანში მყოფი ნემენცი და ტფილისის ბაყალი, ნემენცის თათრებმა წაართვეს ორი ცხენი, 10 მან. და 4 კ., ხოლო ბაყალს—ფულად 60 მან. და 40 კაპ. აგრეთვე წაიყვანეს ხაღურიშვილის ერთი ცხენიც. ადგილობრივი ბოქაული გუგუშვილი, რომელსაც ეს ამბავი სად. ტაბახმელაზედ აცნობეს, სადაც ბოქაული საქმეებისა გამო იყო, დილის 5 საათზედ ჩაფრებით დაედევნა ბოროტ განზრახველთ. ნემენცის ორი ცხენი თათრების სოფ. ბორბალოს ბოლოში დაეტოვებინათ, რადგანაც ეს ცხენ ბი ძალიან გამხდრები ყოფილან. როგორც ბოქაულის გამოძიებდნენ აღმოჩნდა, ავაზაკობა ჩაუდენით ალაი-ბეგ მურსაკულიანის ამხანაგებს ჰაჯი ხალი ბაირამოვსა და სხვებს, რომელთა შორის ერთი ანოსი, ან ქურთი უნდა იყოს. ყველა

ნი ახლის ყალიბის ბერძანკებით არიან შეიარაღებულნი. ბოქაული გუგუშვილი დაეწია ავაზაკებს ბორჩალოს მაზრაში ხრამის მეორე მხარეს, სადაც ხანგრძლივის თოფის სროლის შემდეგ წაართვა სამი ცხენი და ღუბანიდან წაღებული ნივთები.

რაჭის მაზრიდან სწვრენ ვაზ. „ნაბ. ცელ. ზოგ.“: „წელს რაჭის მაზრაში ძალიან კარგს ღვინის მოსავლს მოელოან. სიცივეებისაგან დაზარალდა მხოლოდ ის ვენახები, რომელიც რაჭის დაბალს ადგილებშია, განსაკუთრებით დაზარალდა ალექსანდრეულის ვაზი. შემოდგომით ნათესი პური, მისის სიცივეების გამო, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრაში წახდა; ქერის მოსავალი კარგია, აგრეთვე სიმინდისა. ვაზაფხულზედ რაჭის მაზრაში ღვინო ჰფასობდა 1 ფუთი—1 მანეთისა და 20 კაპიკიდან 3 მანეთამდე და პური 1 ფუთი—1 მან—1 მან. 10 კაპ., სიმინდი—50 კაპ.; ლობიო—50 კაპ., თევზ—40—50 კაპ.“

იმავე გაზეთის სიტყვით, ართვინის ოლქის ზოგიერთ ვენახებში „მილდიუ“ გაჩნდა, საზოგადოდაც ამ ოლქში კარგ მოსავალს მოელოან როგორც ღვინისას, აგრეთვე პურისას.

ჭუთასია. ყვრილის ხაზინის ხაზინადრის ჟორჯოლიანის საქმის გამოძიებამ, რომელმაც ხაზინიდან 71,000 მან. მოიტაცა და გაიქცა, გამოარკვია კიდევ ის, რომ ჟორჯოლიანს, ვიდრე ამ ფულს მოიპარავდა, სახელმწიფო ფული უძღვევია სესხად კერძო კაცებისათვის და ბევრი კიდევ სხვა დანაშაული ჩაუდენია სამსახურის აღსრულების დროს.

ჭუთასია. 13 ივლისს ქალაქის ახალმა საბჭომ გამგეობის წევრად ხელახლად აირჩია ი. გ. ჩიშაკაძე (40 თეთ. და 17 შავი) და საბჭოს წევრად, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში დასასწრებლად თავ. პ. ა. თუმანიშვილი (ერ-ჩხაღ). გამგეობის წევრობაზედ კე-

ნტი იყარა ს. ო, აბულაძემ, რომელიც კანდიდატად ლოლოუს მიერ იქმნა წარმოდგენილი, მაგრამ 23 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 34 შავი („ახ. მიმ.“)

ჭუთასია. აქ გაუჩნდა ბავშებს ავადმყოფობა, რომელსაც ფალარათს უწოდებენ სახელად ოჯახი არ არის, რომ თითო ბავშვი არ იყოს ავად ამ სენით.

სოფ. ტაბახიანი. აქაურ ორკლასიან სასწავლებელს მოუვიდა წელს სააბრეშუმო სადგურისაგან სამი მისხალი აბრეშუმის თესლი, რომლისაგანაც მოჰკრიბეს ერთი ფუთი და 35 გირვანჯა მშვენიერი პარკი.

სოფ. ზატაძე (ტფილისის მაზრა). ყანები გაიჭრა, შიგა და შიგ კიდევ ჰლეწიან. გამოსავალი ძალიან კარგი აქვს. კარგა ხანია აქეთ მხარეს ამისთანა კარგი მოსავალი არა ყოფილა.

გორა. მთელის მაზრის მცხოვრებლები შეაფიქრებინა იმ ამბავმა, რომ ყაჩაღთა ახალმა ბრბომ დაიწყეს თარეშობა სოფლებში. რამდენისამე დღის წინად სოფ. ქემერტის მღვდელს წერილი გაუგზავნეს, რომ 100 მან. გამოგვიგზავნენ, თორემ მოვალთ და ავიკლებთო. მღვდელმა ყოველივე ცხინვალის ბოქაულს გამოუცხადა და ბოქაულიც ჩაფრებით შეუდგა ყაჩაღების ძებნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერსად მიუგნია.

ცისის-ჯვარა, (ბორჯომის ნაწილში). 9 ივლისს ყაჩაღთა ბრბო ალაი-ბეგ მურსაკულიანის მეთაურობით დაეცა სოფელს, გაძარცვა ნინო სოლომონოვისა და 14 მეგობარკეთა სახლობა, რომელნიც ამ დღეს ჩამოვიდნენ ციხის-ჯვარში საგარაკოდ. ყაჩაღთ 2000 მან. ნივთები და ფული წაიღეს და ორი ნოვარაკიც დასჭრეს. რა თავისუფლადაც იქცეოდნენ ყაჩაღები, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ნინო სოლომონოვს, როდესაც ყოველი ძვირფასი ნივთი წაართვეს, არაყი გადმოაღებინეს, დაასხმევინეს კიკებში და არხენად გადასჭრეს. მეორე მოავრაკე ქალს სა-

მოვარი დაადგვიანეს და როდესაც ჩი დალიეს, შესდნენ ცხენებზედ და გასწიეს ახალქალაქისკენ. საქმის გამოძიებლად ჩამოვიდა სურამის გამოძიებელი და ბორჯომის ბოქაული ყაჩაღებით დაედევნა ყაჩაღებს.

ტფილისის გუბერნატორმა აწუფა ქალაქის გამგეობას, რომ ამ წელს ქართლეთს და სამხრეთკავკასიაში უნდა გაეადგეს 61 უმწველი კაცი. ამას გარდა, სამხედრო სამინისტრომ აწესდა ქალაქის მთავრებს, რომ ამ წესდებით, რომელიც აქამდის გამოქვეყნდა, შეად უმწველ კაცს შორის, მხოლოდ ერთი გამოადგებოდნენ სოფელ შესაფერისი სამხედრო სამსახურისათვის. ამას გამოეკლავა განკარგულებას მოსდენილი, რომ ამ წესდებამ ჯარში გასაყვანის სიამღდას ზომა ორ ადგილზედ ნაკლები არ იყოს (აქამდის ორ ადგილსა და ორ ნასკვარ გოჭხედ დაბადის ტანისა ჯარში არ გაჭყადათ), ხოლო რაც შეეხება გულ-მკერდის ზომას, იგი რაც უნდა მცირე ზომისა იყოს, მსუდგელობაში არ იქმნას მიღებულად.

საერო განათლების მინისტრის ნებართვით მომავალ სექტემბრიდან ტფილისის მესამე კლასიურ გიმნაზიაში დაარსებულ იქნება მეოთხე კლასის პარალელური განყოფილება.

ტფილისის მეორე კლასიურ გიმნაზიის საკუთარს სადგომის შენობას ამ უმად უკვე ამთავრებენ და სექტემბრის პირველს რიცხვებში აკურთხებენ, რის შემდეგაც გიმნაზია გადგა საკუთარს სადგომში. ამასთანავე აკურთხებენ გიმნაზიის ეკლესიას.

სამშაბათს, 14 ივლისს, პირველ ვანყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე „დემის“ სასტუმროს პატრონის ქალის მარიამ ბაქრაძისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ ცუდის ღირსების სანოვანესა ჰყიდა, და ორის კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

15 ივლისს, მე-6 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ტფილისის ხაზინის კასირმა ბაგრატ ბეგ მაინსკიმ, რომ წუხელის ავალაროვის სახლის ავანზედ მეძინა და ვიღამაც მომპარა 345 მან., რომელიც ბალიშის ქვეშა მქონდა შენახული. პოლიცია ქურდს დაეძებს.

15 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, ტრაკოპოლის სახლის კარებთან პოლიციელმა იპოვა მიღებული ბავშვი, რომელიც არ მოიხორცე, მოიკლავ მზითველია. ბევრი პ.ნ.ჟური აიტანა პარასკომ რძლისაგან, მაგრამ მოთმინებასაც თავისი საშლდარი აქვს. ბოლოს ადგა პარასკო, ყვალაფერი ქმარს უამბო და თან საყვედურით მიმპართა: „თუ ცოლის შენახვის თავი არა გქონდა, რაღათ მირთავდი და ჩემს ცოლში დგებოდი: წამიყვანე სადმე, ამ აღქვს მომპარო, თორემ ამის მეტი ყელში აღარ ჩავიდა, წავალ სადმე გადავსხვადები, თავს მოვიკლავ და ცოლაც შენ და მადლიც... ამ ამბის შემდეგ მძებს დინდხანს აღარ უცხოვრიათ ერთად, გაიყარნენ ძმები და ძველი, მამაპაყუელი სახლი გლახას ერგო წილში, რომლის სამაგიეროდ მიხრინქესათვის ათი თუმანი უნდა მიეცა გლახას. რასაკვირველია, სახლში ფული არ ეკულებოდა, სხვისაგან უნდა ეცესნა მამასისხლად. გლახამ ვალი თავის დროზედ ვერ მოიშორა, ორს წელიწადზედ თავნ-სარგებელი გასწორდა და მოვალემ ვალში ვენახი და წილში ნარგები საქონელი ჩამოაღალა, რომლებიც ბოლოს ამისმა ძმამ შეიძინა.

საბავშვო ინსტიტუტი იქმნა გაგზავნილი აღსაზრდელად.

13 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, რაჭის მაზრის სოფ. ქსოვრის მცხოვრებელს ალექსი ჯოხაძეს და გორის მაზრის სოფ. ტრძინის მცხოვრებელს სოლომონ ნასყიდაშვილს ჩხუბი მოუვიდათ რეუტოვის ქუჩაზედ და ჩხუბის დროს ნასყიდაშვილმა მარჯვენა მხარეში დასჭრა ჯოხაძე. დაჭრილი გაგზავნილი იქმნა მიხეილის საავადმყოფოში, დანაშავე-კი პოლიციამ დააპატიმრა.

ყველა სიკვდილის შვილისათვის საუხრადღებო საბანი.

ყველა ხალხს, კულტურის რა საფეხურზედაც უნდა იდგეს, რა სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდეს, თავისი გარდაცვალებულის პატივისცემა აქვს. ზოგის ხალხის ასეთს პატივისცემას გარდაცვალებულთა გულმტრებამდის მიუღწევია. არა თუ მთელს რომელსამე ხალხს, არამედ სხვა-და-სხვა სამეცნიერო მოძღვრების მიმდევარს წრესაც ვერ იპოვიო, რომ თვისი გარდაცვალებულის პატივისცემა არა ჰქონდეს. ყველანი ყვევილებით ამკობენ საუფლებებს; დანიშნულს დღეს გარდაცვალებულთა პატივის საცემლად თავს იყრიან, მიტინგებს ჰმართავენ; გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ, რომ არა თუ რაიმე უწმინდურება არ მიეკაროს საფლავს, არამედ საფლავებზედ არაფერს წერილები არ დაჰყაროს დასაციხის შინაარსისა. საქმარისა დავათვალიეროთ, თუნდ რუსთა განსაკუთრებული სასაფლაო ტფილისში; იქვე კათოლიკეთა სასაფლაო, პროტესტანტთა სასაფლაო და დავრწმუნდებით, რომ ყველანი დიდის გულმოდგინებით უვლიან და ამშვენებენ სასაფლაოებს. იქამდის სასიამოვნო ადგილად აქვთ გადაქცეული სასაფლაო, რომ ხალხი სასერიოდ დადის იქ. მამადიანნიც ამ მხრივ სხვებს არ ჩამორჩებიან უკან.

არ ვიცი სხვა ქვეყნებში სომხობა როგორ ეპყრობა სასაფლაოებს და საქართველოში-კი ბევრით არ განირჩევიან ისინი ქართველებისაგან თვისი სასაფლაოს მდგომარეობით, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთს სასაფლაოს,

ფელეტონი

„ღმერთმა მისცას მავნიანი...“ (მოთხრობა) (შემდეგი)

ათასი ამგვარი გულის დაბნევილი ბელი სიტყვები უთხრა დედამ კეკოსს, მაგრამ კეკოს გული ვერ შეპრიებოდა იმ აზრს, ვერ მოეწივებინა, რომ ქარუმა ხელიდან გაუსხლტებოდა სამუდამოდ. არა, თავს მოიკლავს და ქარუმა-კი ერთს წამსაც არ დაივიწყებს. მართლაც, დედა-შვილის ლაპააკის შემდეგ კეკოს სრულიად მიწყნარდა. მთელი დღე სახლის კუნტულში იყო მიწოლილი ნაბდის ძველზედ და ხმას აღარავისა სცემდა. საქმის გაკეთება ხომ აღარ ეხალისებოდა. მადაც დაჰკარგა, თითქოს კრიკა შეეკრაო, საქმელს აღარ ეკარებოდა. გლახას უკვირდა კეკოს ასეთი საქციელი, ვერ აეხსნა, რა მიზეზით იბუტებოდა, რად იყო ასე გულ-ამღვრული, შუბლ-შეკრული. პარასკოც სიბრალულით ქმარს არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ როდემდის

დაჰმალავდა. ერთ ღამეს ცოლმა ყველაფერი უამბო გლახას და ბოლოს შეხვეწა ქმარს: „ნუ აუღაჯრდები, ცოლვია; ჯერ ისევ გულ-დამწვარია და ახლა შენი გაჯავრება ლოგინაა ჩაადგეს, გულს გადმოუბრუნებს. აბა, მაგან რაღა ჰქნას, როდესაც ის წყველ-შეჩენებული გუ ში ჩაჰკარნია. მოიკონე შეი ჩეზედ სანი შენის ამბავი, ცალიერი, უმზითვო იმიტომ არ მითხოვე, რომ მოგწონენ და ჩემის გულიათვის არ გაეყარე შენს ძმასა და რძალს, რომ ცეცხლ-გენიაში გაგდებდნენ, უქრთამ-მზითვეო ცოლი რათ შემოიყვანე სახლშიო“?..


ცოლის სიტყვებმა გლახას ფიქრები წარსულის მოგონებისაკენ გაიტაცა. მოაგონდა გლახას პარასკოს პირველი შეხვედრა, თავისი პარასკოსადმი გაკვირებული სიყვარული. ამასთან მოაგონდა ისიც, რომ ამისი რძალი ფეფენო ჰპირდებოდა, მზეთუნახავი ქალი უნდა შეგერთო ცოლადო. გლახასაც სჯეროდა რძლის გულწრფელობა. ის-კი არ იცოდა, რომ ფეფენოს უნდოდა გლახასათვის ისეთი ქალი აერჩია, რომ იმას არა სჯობნებოდა არც სილამაზითა და

არც მზითვით. ეს დაფარული გულის წაღილი ფეფენოსი მაშინ გამოამკრავდა, როდესაც გლახამ სთხოვა ფეფენოს, ამა-და-ამ სოფელში ერთი ქალი მომეწონა, თუ მითხოვო იმას, თუ არა-და, მე სხვა ქალს არ ვინდომებო. ფეფენოც მებობლებით წავიდა პარასკოს გასასიჯად, მაგრამ თქვენს მტერს, რომ პარასკოს დანა ხვისთანავე ფეფენოს გულს შურის ელდა ეცა. ეს ხო მე სილამაზით მჯობიაო, გაიფიქრა მაშინვე ფეფენომ და პირ-ქუშად დაბრუნდა სახლში. მთელი კვირა სცდილობდა ფეფენო მაზლისათვის ხელი შეეშალა, რა წუნი არ შესდო პარასკოს, მაგრამ ამოდ, ფეფენოს სიტყვა არ გაუვიდა და იმისი სურვილის წინააღმდეგ გლახამ პარასკოზედ ჯვარი დაიწერა.

აი, ამ დროიდან დაიწყო რძლებს შორის დღე მუდმივი, ჩხუბი, საყვედური, ერთმანეთზედ ბუზღუნი და ქიშპობა-ჯიბრი. ყოველთვის ამთკინკლაობა ჩხუბს სარჩულად რაიმე წვრილმანი საგანი ედებო. „ქურჭელი თავის ადგილას არ დაგიწყვიდა-დაგილაგებიაო“, „ჩემს სარკე სავარცხელს ხელს ნუ ახლებ, რატო შენი

*) იხ. „ივერი“, № 151.

უსაქონლო, უყვანხო გლახას



რომლებსაც ამ უკანასკნელ ათს წელიწადში მიაქციეს ყურადღება. ყველაზედ თავ მინებებული და ყველაზედ უწმინდესი მდგომარეობაშია სასაფლაოები აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც სამაზრო ქალაქებში, აგრეთვე და უფრო მომეტებულად სოფლებში. რას უნდა მიაწეროს ადამიანმა ასეთი საქციელი ქართველობისა? თუ წარსულში ჩავიხედავთ, თავალ-წინ წარმოგვიდგება აკლამები, რომლებიც დიდის მეცადინეობით და ხელოვნებით არის ნაკეთები, საძირკველები და სხვა ნაშთნი გალავნებისა, რომლითაც შემოზღუდული ყოფილა სასაფლაოები; თავ-განწირული ბრძოლა მტერთან, რომ იმას არ შეებღალა მამა-პაპათა საფლავი. უწინ ყველაზედ დიდს დამცირებელ ქართველი საფლავის შებღალავს სთვლიდა; ქართველს, როგორც ებრაელთ იაკობის ძეგლები, ათას ვერსზედ მოჰქონდა უცხოობას გარდაცვლილის ძეგლები. ყველა ეს და მრავალი სხვა გვარწმუნებს, რომ წარსულში არ არის მიზეზი ჩვენის სასაფლაოების დღევანდელ მდგომარეობისა.

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ხალხი, რომელიც ასე უბატურად ინახავს სასაფლაოებს, დასაფლავებს რომელსაღმ თავის წევრს, სწვევს ყოველსავე დამოკიდებულებას სასაფლაოსთანაო. პირ-იქით, ქართველობა მაგარის ჯაჭვით არის გადაბმული სასაფლაოსთან: დასაფლავების შემდეგ ქართველობას სასაფლაოზედ იზიდავს ეს ჯაჭვი უთვალავ რიცხვჯერ: ეს შვილია, ეს ორმოციო, ეს წლისაო, ეს საზოზოო, ეს ფერისცვალებისაო, ეს მარიამობისაო, ეს აღდგომის მეორე დღისაო, ეს აბრამისაო და სხვ. და სხვ. პირველ სამის გარდა, დანარჩენნი ყოველ წელიწადს განმეორდება ხოლმე. ზოგი ამთავანი წესად მოითხოვს ხილსა და სანოვავის საფლავზედ გატანას, ზოგი—წინდლის საფლავზედ გატანას, ზოგი—მარტო სანთლის ანთებასა და პანაშვიდის გარდახდას და სხვ.

მაშ ეს რად არის, რომ სასაფლაო-

ებულ კუბოში ეს ვინ ჩაუწვინიათ... ვინ არის ეს თმა გაშლილ-გაწეწილი დედაკაცი, რომ ასე გამოწარბიბთ გასტორის და თავს აკლავს კუბოზე... რატო ვერ გაუჩივებ... აცა, ეს ეცნობა... პარასკოა, პარ... და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაფრინდა გვერდით მწოლარე თავის ცოლს. პარასკოს შიშისაგან გული გადმოუქანდა, მძინარე წამოვიარდა ლოგინი-დგან „რა იყო, ადამიანო, რა დაგეცა, რაზე დამაფეთიანე, ხომ არ მოგელანდნენ“, შეუტია ქმარს პარასკომ, მაგრამ როდესაც გლახამ ცოლს უამბო თავისი სიზმარში აღშფოთების ამბავი, პარასკოც დაწყნარდა და პირჯვრის წერა მორთო „დალაზვროს ღმერთმა, შორს, შორს ჩვენ-გან, ავო ანგელოზო, დაიძარ და მოიკითხე ჩემი ავზენე, აზარი რძალი ფეფენო და იმისი კუდიანი, ხიფათი ქმარი, ფუი, ეშმაკოო!“ და ერთი ზიზღიანად გადააფურთხა რძალ-მამულის საცხოვრებელ მხარისაკენ. თუმცა ათათასჯერაც შეაჩვენეს ბოროტი სული, მაგრამ ცოლ ქმართ გაბოროტებულს გულ-გონებას ძილი აღარ ეკარებოდა. რამდენი იღონეს, რამდენი იძმარეს, დიდხანს იმტვრის

ოები სანახიროებადა გვაქვს გადაქცეული და ყოველისავე უწმინდესობით სავსეა? ყოველ წელიწადს მივიღივართ და ჩვენის თვლით ვხედავთ, რომ ჩვენი საყვარელის ან მშობლების, ან ცოლის, ან ქმრის, ან შვილის საფლავი ნათხარია ღორისაგან და ზედ სხვა-და-სხვა პირუტყვთა უწმინდურება ჰყრია. თვითოეული ჩვენთავანი დარწმუნებულია, რომ ეს დიდი დანაშაულია და საქმეს-კი მშველელი არსაიდგან უჩნდება. თითოეული ჩვენთავანი მზად არის ხევი-დრი ხარჯი გამოიღოს, ოღონდ ააცილინოს თვისის საყვარელის ნათესავის საფლავს ეს სამწუხარო მდგომარეობა და კაცი არ არის, ეს ზოგადი სურვილი განახორციელოს.

ვერც სიღარიბით ავხსნი ამას, რადგანაც სასაფლაოს განკარგება-განმმეწიერება დიდს სიმდიდრეს არა თხოულობს ერთხანად. თუ ათსა და ოც წელიწადს მოუნდება კაცი მის განკარგებას, არც ეს დროა ხანგრძლივი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სასაფლაოს განმმეწიერებისათვის, სულ ბევრი რომ ვთქვათ, სამი წელიწადი სრულიად საკმარისია. სადაც შეზღუდვა ქვითკრით და ხე ტყით მოუხერხებელია, საკმაოა შემოიზღუდოს თხრილით, რისათვისაც კვირა-უქმე დღესაც შეიძლება იმუშაოს ხალხმა წირვის შემდეგ, თუ საკმაო არ იქმნება ის შემოდგომის წვიმიანი დღეები და ზამთრისა, როცა მუშა ხელი უსაქმოდ შინა ჰზის. ვთქვათ, შემოვზომეთ სასაფლაო, რომელსაც ორი დღიური მიწა უჭირავს, გამოვა 200—220 საყენამდე. ეს ხაზი უნდა გაითხაროს სიგანით ნახევარ საყენი და სიღრმით ერთი არშინი. შეადგენს სულ 300—310 კუბიკურ არშინ მიწის ამოღებას. თითო მუშას შეუძლიან შეღავათით მუშაობის დროს 2 საათს კუბიკურ არშინ-ნახევარ მიწის ამოთხრა. დღეში რომ მარტო 2 საათი იმუშაოს, სულ მთელის თხრილის გაკეთებას 300—310 მუშა მოუნდება. იმ სასაფლაოს მრევლი სულ 60 კომლი რომ იყოს (ჩვენში სულ მცირე მრევლი 60 კომლიანია და

ამისთანა მრევლი თითო მაზრაში სულ 10 არ იქმნება, უმრავლესობა-კი 120—300 კომლიანია), თითო კომლს 60 კომლიან მრევლისას შეზღუდება 5 დღის სამუშაო, ან 5 კაცის სამუშაო დღეში 2 საათისა. თუ სასაფლაო ერთი ორად და ერთი-სამად დიდია, განა წელიწად ნახევარს თითო კომლი 15 დღეს ვერ იზოვნის, რომ დღეში 2 საათი ამას შესწიროს? რაკი თხრილი შემოვვლება სასაფლაოს და კარები გაუკეთდება, ძნელი არ არის იმის სასიამოვნო ბაღად გარდაქცევა. საკმარისია, გამოაცხადონ, რომ ყველა კომლმა თვისის გარდაცვალებულების საფლავები შეამკონ ხეებითა და ყვავილებით. საქირთა მხოლოდ საერთოდ აღინიშნოს ხაზები ხეებისა და ყვავილებითა თვის და საერთო გზები იქმნას წინაღვე აღნიშნული.

მით უმეტესად სამუყაითაო ეს საქმე ყველა სოფლისათვის, რომ თითქმის არც ერთს სოფელს აღმოსავლეთ საქართველოში სასიერო ადგილი არა აქვს. იძულებულნი არიან თავი მოიყარონ უსუფთაობით საცხე ადგილას.

საქმე ის არის, ვინ უნდა იყოს ამ საქმის მოთავე, მოწინამძღვრე? აქ შეიძლება არ ითქვას ის კემარობა, რომ ერთი ძალუმი სვეტი, რომელზედაც დამყარებულია ყველა სარწმუნოების სასულიერო წოდება, არის სასაფლაო და მასთან შეერთებული წარმოდგენა მერმისის ცხოვრებისა. ამიტომ სასაფლაოების ზრუნვისაგან გულის აყრა, მათი ცუდად მოპყრობა თავის თავად ძირს გამოუთხრის იმ შენობას, რომელიც სხვათა შორის დანდობილია ამ სვეტზედაც. ამ მცირე ნათქვამიდანაც ცხადია, ვინ უნდა გამოიღოს თავი სასაფლაოების განკარგებისათვის. აქ საქირთა სასულიერო წოდების უმაღლესის მთავრობის სასტიკი განკარგულება, რადგანაც სამაზრო ქალაქებშიც, სადაც საერთო სასაფლაოა აქვს 3—4 მრევლს, დაუდევნელობის გამო ვერ მოუწყვიათ ეს საქმე. ავიღოთ, მაგალითად, თელავის სასაფლაო. იმაზედ ნურას ვიტყვი, რა

მდგომარეობაშია იგი, რადგანაც მისი აწინდელის მდგომარეობის გაცნობა შეჭზარავს ქრისტიანსაც და არა-ქრისტიანსაც. ჩვენ მარტო ისა ვთქვათ, სამს მრევლს, რომელიც 5000 სულამდეა, განა არ შეუძლიან განკარგოს სასაფლაო? მდევდოს, რომელიც ერთ ადგილას ჰმსახურობს 10—20 და თითქმის 40 წელიწადი, ნუთუ არ შეუძლიან ცოტა მაინც საუკეთესოდ შესცვალოს იმ დაწესებულების მდგომარეობა, რომელზედაც არის დამყარებული მისის შემოსავლის უფროსი ნაწილი? 5,000 სულს, სულზედ 10 კაპ. რომ გამოერთვას, 500 მან. შეადგენს, რაც ერთხანით შემოსაზღუდავად თუ არ იკმარებს, შეიძლება მეორე წელიწადს დამთავრდეს ამისთანავე შეწირულებით. რაკი შემოიზღუდება, ყველა თავის საფლავს მოუყვლის და სამს წელიწადში ისე განკარგავს შეწიერება სასაფლაო, რომ საუკეთესო სასიერო ადგილად გარდაიქცევა.

ქართველების ყოველად უკიდურესი ლანძღვა არის საფლავის ხე-ნება. ამისთანა ლანძღვისათვის ხანჯლით და ტყვიით აძლევენ ხოლმე პასუხს, ისე დიდ შეურაცხებად მიიჩნია ეს ქართველობას. ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენ სატყეაით-აი არა, საქმიან კართ მღანძღველები, საქმიან... ვისაც არა სჯერა, წავიდეს და თავისი მახლობლის საფლავი დაათვალიეროს.

სრული იმედი გვაქვს, ყოველად უსამღვდელოესი ფლობიანე, საქართველოს ექსარხოლი, მიაქციეს თავისის სამღვდელო-მთავრო ყურადღებას ამ სამწუხარო გარემოებას.

ნაღვივრელი

დაბაღ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. სანება-მთა, (კავკასიის მაზრა), 2 აგნისა. ამ ექვსი-შვიდის წლის წინაჲდ სასაფლაოს-სამრეველო დიდ შეკაწროებაში იყო უგზობისაგან გამოკვეთა და დატოვდა თუ არა აზრად, დაიწყებდა თოვლი და მარცხისაგან, რა

არის, ადამიანო, ჩასტურჩულებდა პარასკო ქმარს, ან მე მომკალ, ან მაგ გოვოს ცოდვას ნუ მაყურებინებ, ამის მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან. თუ შენ არ მომკლავ, მე მაინც მოვიკლავ თავს. ბარემ მაგის ცოდვა არც იქ, იმ საიქიოს, მომავცენებს, მომცემს კარგს დს აქ მაინც რაღაზე ვეჭმევინო ბოღმას, რაღაზე ვიწვავიდავო გაუნელებელ დარდის აღზე“...

— რა ვქნა, დედაკაცი, რა კლდეში ჩავიარდე, სხვამ რო თქვას, კიდე ჰო, მაგრამ ხო ხედავ, არსაით იოლი არა გვაქვს. მე-კი არ მეწუხება, რომ გოგო მოწყვეტილ ბილილასავით ჩამოქვანა, მაგრა აბა შენ თითონ მითხარ, უფულოდ რა იქნება, ვასასყიდი რამე რომ მაინც მომეძებნებოდეს, ვინ დემერ-მწყარალი წარბს შევიხადი. ეს ერთი ჰერი-ღა გვაშავია, ამასაც ხომ არ გავყიდით...

სიტყვა „გაყიდვის“ გაგონებისათვის პარასკოს სახეზედ რაღაც იღუ მალმა, ნათელმა აზრმა შეუთამაშვდაღურბინა:

— ადამიანო, აღარ ვახსოვს, ერთხელ რომ მითხარ, ხირსაზე, საში, მამა-პაპეული ჭეჭიანი ადგილი

გასულამდის სწორად განსაზღვრულია. ვინ ხოლმე სანების სამრეველონი. შემოთდებოდა განაღვის წყალი (განაღვი) და სულ ერთიან ჰგავდა ხოლმე საცოდობით გაკეთებულს ხედავს და შემაკრებულ გზებს. ამას ვინა ჩიოდა, ისე გაზაფხულია არ გაივლიდა, რომ ორი-სამი სულე მგზავნი არ ემსხვერპლდა და რამდენიმე ხარ-ცხენი და ცხვარი. სანების სამრეველო სულ 200 კომლისაგან შესდგება. თუმცა ასე ცოტა მოსახლეობისათვის თოისმეტა ბიოსა მანეთი მძიმე გადასახდა, შეტადრე ხელ-მეკლე მთას საფლავისათვის, მაინც ეს ფული მისცეს გზას გასაკეთებლად ხარჯმა მურატანდოვს, რომელიც ერთ დროს განთქმულ მოაჯარადრედ ითვლებოდა. ბ-ნი მურატანდოვა შეუდგა გზის გაკეთებას. სოფელმა ნასკარხედე მეტა მისცა ფული მურატანდოვს და თითქმის ბევრი აღარ დარჩენდა გასაკეთებელი გზა, რომ ბორცუმა ენებმა დაიწყო მუშაობა სოფელსა და მურატანდოვს შორის. ამბობდნენ: „ხარჯამამ გზის გეგმა შესცვალა და აგრეთვე გზაზე ვაზებდა გასაკეთება“. ჩამოკარდა შემოფეოდელება სანებლებსა და მურატანდოვს შორის, გამართა სახი-კარა და, მურატანდოვმა გზის დასრულებას თავი დაანება. სახიკარი აგრეთხი-ხუთა წელიწადი გრძელდება და ვინ იცის, გადავ ერთმა ამდენმა დრომ გაიაროს.

ვინ არის მტყუნა, ბ. მურატანდოვა, თუ სანების სამრეველო, ამას გადაწვევით ჯერ ვერას ვიტყვი, მხოლოდ ვიტყვი მარტო ამას, რომ, ძველის ანდაზისა არ იყოს: „ერთმანეთის ვიბრითა, სახლი აიკოს ნაკეთაო“, ისე მოსდის ამ გზას: სოფელი უფრო აღარ უგდებს, მურატანდოვს მოუყვებთ და სულ-ანსად გააკეთებინებთ, და ჩვენ-კი რომ შეაკეთოთ, მურატანდოვა საბუთად შეიტანს, თუ ხემა კვლი იყო გზის შეკეთება, მამ რად აკეთებდნენ. მურატანდოვა უფრო უფროს არ უგდებს და ამბობს: მე პირაბისამებრ გზა კარგად მაქვს გაკეთებული, ჩემი საქმე აღარ არის. ამგვარად, გზა თანდათან ფუჭდება.

შარშან და წელს-კი მომეტებული ჰქმნა გაკეთებულმა განაღვის წყალმა.

ვინ არის ეს თმა გაშლილ-გაწეწილი დედაკაცი, რომ ასე გამოწარბიბთ გასტორის და თავს აკლავს კუბოზე... რატო ვერ გაუჩივებ... აცა, ეს ეცნობა... პარასკოა, პარ... და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაფრინდა გვერდით მწოლარე თავის ცოლს. პარასკოს შიშისაგან გული გადმოუქანდა, მძინარე წამოვიარდა ლოგინი-დგან „რა იყო, ადამიანო, რა დაგეცა, რაზე დამაფეთიანე, ხომ არ მოგელანდნენ“, შეუტია ქმარს პარასკომ, მაგრამ როდესაც გლახამ ცოლს უამბო თავისი სიზმარში აღშფოთების ამბავი, პარასკოც დაწყნარდა და პირჯვრის წერა მორთო „დალაზვროს ღმერთმა, შორს, შორს ჩვენ-გან, ავო ანგელოზო, დაიძარ და მოიკითხე ჩემი ავზენე, აზარი რძალი ფეფენო და იმისი კუდიანი, ხიფათი ქმარი, ფუი, ეშმაკოო!“ და ერთი ზიზღიანად გადააფურთხა რძალ-მამულის საცხოვრებელ მხარისაკენ. თუმცა ათათასჯერაც შეაჩვენეს ბოროტი სული, მაგრამ ცოლ ქმართ გაბოროტებულს გულ-გონებას ძილი აღარ ეკარებოდა. რამდენი იღონეს, რამდენი იძმარეს, დიდხანს იმტვრის

თავები, მაგრამ კეკოს ბედის გასახსნელ გზას ვერ მიაღწენ, კვალ წმინდად დაეკარგათ...

ამ გულ-ყრა-წუხილში იყვნენ ცოლ ქმარნი, რომ ყველიერის კვირაც თენდებოდა. რა მშვენიერი, მანისებური ბრწყინვალე დღე მოდიოდა... „სწორედ ცხრა თვალა, ჰახ-ქახა მზე იქნება დღესაო!“ და სინარულ-აღტაცებით მიეშურებინა ქ-ის დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი სასოფლო, სათამაშო მოედნისაკენ, სადაც საქანელა ჩამოუბამთ და სადაც ყოველს წელს ამ დროს ქიდაობა იმართება ხოლმე. ქიდაობა, ლხინ-თამაშის ამბავი ყველას იქითკენ იზიდავს ანდამატებით, ყველას დაჰვიწყებია ამ დღისათვის საკუთარი ჰირ-ვარამი. მართლაც, დღეს კარგი მოხილება იქნება-განთქმულნი, სხვა-და-სხვა სოფლის მოჭიდავე ბიჭები იქი-დავებენ და აბა ამისთანა სანახაობას ვინ დააკლდება... არა, ეს ყველამ თავისის საკუთარის თვლით უნდა ჰნახოს, ამითი უნდა დაიკმაყოფილონ მოწყურებული გრძობა სიამოვნებისა. ისიც გყოთ, რაც აქამდის თავ პირი ჩამოსტიროდათ, ერთის დლით მაინც შევბა ლხენას მი-

სცენ თავი... კეკოსაც გამოუარეს მორთულ-მოპრანჭულმა ტოლ-დობი-ლებმა, ბევრი ეხვეწნენ, ემუდარნენ: „წავიდეთ, კეკო, შენ შემოგვევლეთ თავს, ჰირი მოგვამეთ, შენც გააყოლე, ქალი, თვალ გული, შინ ჯდო-მა რით ვერ მოგწყინდაო“... და ბევრი ამისთანა დაშაქრებული სიტყვები უთხრეს კეკოს დობილებმა, მაგრამ კეკო ადგილიდგან არ იძვრებოდა. დედ მამაც ბევრს ეხვეწა შვილს წასულიყო, ამოღამებული, სვედიანი გული გაეყოლებინა, თვალი გაეხილა, მაგრამ ვერას გახდნენ. „არა, ჩემის ჩაცმა-დახურვითა და ჩემის ჰინჭრიკანა ჩითის კაბით თუ გავაკირვებ ვი!მეს“, უპასუხებდა კეკო და მართლაც წასვლაზედ ვერას გზით პირი ვერ დაავრევინეს. გარეთ-კი არ გამოუხდენია კეკოს ამ დღეს, თუმცა მთელის სოფლის ახალ-გაზღობის ევილ-ხივილი, სიცილ-კისკისი, ლხინ-თამაში ქვეყანას იკლავდა, მთა-ბარს აყრუებდა....

ამ გარემოებამ ხომ სულ ყვლები დასტრა, დასთუთქა, დაამძარ-ნადგლიანა გლახა და პარასკო. რა უნდა ექნათ, რა ხეცა და წყალს უნდა მისცემოდნენ... მეტი გზა არ

მაქვსო?... იქნება იყიდოს ვინმე, ერთი რატო არ გაიგებ... — მართლა, დედაკაცი, წელიწადზედ მეტი იქნება, რაც იქით აღარ გამოვილია—იქნება კიდეც შემოღობა ვინმემ. ჯ—ები ძრიან ეტანებიან თურმე იმისთანა ადგილებზე თამბაკოს დათესვას და იმედი მაქვს მალე გავყიდი... მესამე დღესვე გაემგზავრა გლახა იმ მამულის სანახაოდ იმ იმედით, რომ ეხლა მაინც მოისვენებდა, ამდენს ცხვირის გახვრეტას თავიდან აიცილენდა, ბოღმას აღარ მოეკვლევინებოდა, მაგრამ შევბა ნუგეშის მაგიერ იმ მამულმა უფრო უარესს მომწამვლელ სატანჯველ-საგონებელში ჩააგდო. მამულის წართმევა ხო წართმევაა, ე „სულში“ ჩივილი რაღა ხათაბალაა. ამას უნდა ეჩივლა მამულის ძალით მისაკუთრება და, პირ-იქით, ამას უჩივიან... გაგონილა ამისთანა ბოღმა... სწორედ მწარე საგონებელში ჩავარდა გლახა... ეშმაკურ-ქაჯურ საქმეებში გამოუცდელი გულის წუხილ-ფანტკალით მოვლოდა გარჩევის დღეს... (შემდეგი იქნება)

დავით გუგუნი, გადარდა კალაშნიკოვი და მივე კლდის ძირს. დიდას თავი განწირულია და დაბრუნდა მისი მშობლებს და მათს ქვეყანას შუა მთას მდინარესა.

კრთველი იხებში

კრთველი

პეტრობურგის სამკურნალო აკადემიის მთავრობისათვის თითქმის ორასს კაცს წარუდგინა თხოვნა, რომ აკადემიის სტუდენტთა შორის ჩაგვიტყუოთ მომავალ საინსტიტუტო წლიდან. აკადემიის მთავრობა ამის გამო აცხადებს, რომ დღეის შემდეგ ვისიც თხოვნა უნდა მოვიდეს, უკუ რადღებოდ იქმნება დატოვებული.

ამ ყამად კიევის ახლად დაარსებულს პოლიტექნიკუმში შესვლის სურვილი დიდ ძალში ახალგაზღვრებამ განაცხადა თურმე. საინჟინერო განყოფილებაში სულ 90 კაცისათვის არის ადგილი და ამ განყოფილებაზედ შესვლის მსურველნი-კი ყველაზედ მეტი აღმოჩენილან. თხოვნები გაუგზავნიათ მომეტეულ ნაწილად კიევისავე სამოსწავლო ოლქის გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ, აგრეთვე უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულთ და იმათ, რომელთაც საფიზიკოს-სამათემატიკო ფაკულტეტის ნახევარ კურსის ეგზემენი ჰქონიათ უკვე გარდახდილი. მოსწავლეთი სამეტოქეო გამოცდა დაიწყება 17 აგვისტოს.

რუსეთის ღვინის მწარმოებელთა საზოგადოებამ შეამდგომლა დაუწყია მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგვეცეთ მომავალ შემოდგომას მთელი რუსეთის ღვინოების გამოფენა გავმართოთ ქ. პეტერბურგში. გამოფენა სამს კვირას გაატანს თურმე.

უცხოეთი

ესპანიისა და უმართიზულის მტატამის ომი. ესპანიის მთავრობა დიდად უკმაყოფილოა გენერალის ტორალისა, რომელმაც ქალაქი სანტ-აგოს ამეიკელესს გადასცა. მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ ამ ქალაქისა და პროვინციის დაკარგვის ბრალი საკუბით გენერალ ტორალს ედება, რადგანაც ეს საქმე ჩვენ დაგვიტოვებდა მოახდინა. გენერალმა ბლანკომაც აღნიშნა სამინისტროს, რომ მე ტორალისათვის არ შემიძლია სანტ აგოს ამეიკელესს დაუმორჩილე მეტი. ხაზივლიადაც, გასულია სიტუაციით, საქმე სულ სხვაგვარად მომხდარა. სამხედრო მინისტრს ორი დეპუტა მიუღია მარტო ბლანკოსაგან. ერთში აწერილი ყოფილა ის გასწავლება, რა გაჭირვება მარტო აგოს ხაზინიდა, ხოლო მეორეში ჩამოთვლილი ყოფილა ის პირობები, რა პირობებთანაც სანტ აგოს უნდა გადაეცეს ამეიკელესს. ამ დეპუტატთან ერთად ბლანკო სთხოვდა თურმე სამინისტროს, შეგატყუებინათ როგორც, მოაქცინეთ: დაუმორჩილოთ ქალაქი თუ ვიბრძოლოთ. მასუსხად სამხედრო მინისტრს შეუთვლია, რომ ამ საქმის გადაწყვეტა მე გენერალ ტორალს მივანდებ; იმაზედ

არის დამოკიდებული განაგრძოს ომი, თუ დაუმორჩილოს ქალაქი. ტორალსაც ასეთის უფლებით უსრტებია და გადაუწყვეტია: ქალაქის დამორჩილება სჯობია, ჯარის ამოყვლა-მოსროლა. თით ქალაქის გადაცემა ასე მომხდარა. რადგანაც ტორალს უნებებია, რომ მხად ვინ ქალაქი დაგვიმორჩილოთ, მაგრამ ჯარი ქალაქს გარედ დაუტოვებია და თვითონ, უფროს გენერლებთან ერთად, სანტ-აგოსში წასულა.

ქალაქის შესაჯღთან ამერიკის ჯარის უფროსს დაგვიგონა გენერალი ტორალის თავის შტაბის აფერებებით. ტორალის მისულა გამაგრებული მოწინააღმდეგესთან და თავისი შიშაც გარდაუცხა. შემდეგ უკვლანი ერთად სანტ-აგოსს სასახლეში წასულან და იქ პირობის შესახებ დაწვრილებით მოულაპარაკნათ. მამისვე ესპანიის დროშა ჩამოუღიათ და ამერიკისა აღუშინათ. იმავე დღეს გენერალ შეტერს შედეგი დეპუტა გაუგზავნა ესპანეთში: „მაჭეს პატაიე ვინცნობა ბრეზი-დენტს მაკ-კინლეის, რომ დღეს, 17 აგვისტს (5 აგვ.), სწორედ შუადღის 12 საათზედ, სანტ-აგოსს გუბერნატორის სასახლის თავზედ აღვირთეთ ამერიკის დროშა. ამას დასწერა მრავალი ხელის, ცხენოსანი და ქვეითი ჯარი. ქალაქში სრული მშვიდობაა. ხელის ძალიან გაჭირვებულია. დღესვე დაგვიმორჩილა ერთი მცირე სამხედრო გემი 200 ზღაპლისითურთ, რომელიც სურვერის ესკადრის განადგურების დროს გადაარჩა და რომელიც დღემდის ნავთ-სადგურში იმყოფებოდა. ნავთ-სადგურის ნაღმებისაგან გაწმენდას შემე შეუდექით. ქალაქში შესვლისთანავე თაბლი მოგვართი ძლიერ სიმარტებს, რომლის ძლიერ ალბაც მეტად გაგვიჭირდება. გენერალმა ტორალმა ფორმალურად გადამოცა ქალაქი, სიმარტებმა კი ყველავე სურათით. როგორც შემე შეუთავს მკითხველებმა, სანტ-აგოსში მყოფი ესპანიის ჯარი ამერიკელებმა თავის ხარჯით ესპანიაში უნდა გაჭეზანონ. გასუბების სიტუაციით, შეერთებულს შტაბებს ამ ჯარის გაჭეზანის 1,200,000 დოლარად დაუჭდებია. რასაკვირვებია, ამ ფულს მთავრობა, ზარის დაღების დროს, სამხედრო გადასახადს მიუძღუბს და ესპანიის გამოართმევს, უმეტებენ იგივე გასუბები.

გაზ. „Temps“-ი სწერს: „თუ მღა ქალაქი სანტ-აგოს უკვე დაეცა, მაგრამ ესპანეთში დახმარებული არიან, რომ ომი ჯერ კიდევ დიდ ხანს გასტანს. საბუთად იმის ასახელებენ, რომ ესპანიის მთავრობის ზავის შესახებ ჯერ კონტრეტ არ დაუძრავს. წინდელის გაბანტის ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ჩვენ არადაც იმ დრომდე არ დაუერთ, ვიდრე ესპანიის მთავრობა ფორმალურად ზავის შესახებ მოლაპარაკებას არ დაგვიწყებს. სანტ-აგოს ავიდეთ, ესლა გუბერალ პორტო-რიოს აღბას შეუდგებათ. მხად გვეყვს 25,000 ჯარის-კაცი, რომელთაც ამ დღეშია გაისტუმრებთ პორტო-რიოსში“.

ესპანია ესპანიის ყველა უბედურებას ისიც ზედ დაერთა, რომ იმის ერთი საუკეთესო და მდიდარი პროვინცია, კატალინია, განდგომისა და დამოკიდებულ რესპუბლიკის დახმარებას ახარებს. ასეთი მატალითა ესპანიაში პირველია. დღემდის თვით ესპანიის

არც ერთი პროვინციის არ მოუწადინა განდგოკება და დამოკიდებულსაქალაქებს დახმარება. დღეს-კი კატალინიის მცხოვრებთ მკვიდრ ესპანელთა ჯარს სწამთ მადრიდის მთავრობა და აღარა ჰსურთ ამ მთავრობის დაუმორჩილდნენ. ამ ყამად, გასულია სიტუაციით, სხვენებულ პროვინციებში დიდი მოძრაობაა. მცხოვრებელთ ერთ ხმად გადასწყვეტეს განდგომად ესპანისა.

არც კარლისტები სტრებაან. 60 კარგად შეარალებული კარლისტი ესპანიის ჩრდილოეთ ნაწილზედ გადავიდნენ და მთში დაიხლენ. ეს 60 კაცი საუკეთესო მეთაობა და დიდი მომხრე დონ-კარლესისა. თვითველი მათგანი წინ გაუძღვება ცალკე რაზმს, რომელიც პირველსავე დამხმარის დროს შესდგება ადგილობრივის მცხოვრებლები-საგან.

საზარანეთი. ზოლას „გაჭრეპის“ გამო გაზ, „Aurore“ სწერს: „საზარანეთს ამოხსნის ის, ვინც გაიძინას, ზოლას განაჩენს შეუშინდა და გაიჭრება. ნამდვილად ზოლას-კი არ ეშინიან, ეშინიან იმათ, ვინც იმის წერილიდან რამდენიმე სიტყვას ამოგლიჯა და ამ სიტყვების გამო სამართალში მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოლას მთელ წერილს ჩაუთვლიდნენ დანაშაულობად და არა ორ ან სამ ბჭკარს. კაცს ხელფესს უგარვენ, ჭეშმარიტების თქმის ნებას არ აძლევენ და ესლა უკვირთ, ზოლას ბრძოლას შეუშინდა და გაიჭრება. ჩვენ თავისუფლად გინდა ვიმეჭმელოთ, თავისუფლად ვილაპარაკოთ და წარმოვსთქვათ. საგენერალ შტაბის მომხრეთ-კი ამისი ეშინიანთ და გაიძინან, იმაღებინან. თქვენ კარგად იცით, ზოლას სწორედ იმიტომ გაიჭრა, რომ ხელახლა ისევ სამართლის წინაშე წასდგეს, მხოლოდ ისეთ დროს, რადგანაც პირს არავინ შეუჭრავს და ჭეშმარიტების წარმოთქმას არავიე დაუშლის“.

ნაკვეთი

შეკვნიენ ერთმანეთს ორი დიდის ხნის უნახავი მეგობარა.

— ოჲ, როგორ გაკეთებულხან თ და გასუტებულხართ?

— მართლა? რძისა, ბრინჯისა და კართოფილის მეტს არას ვეკარება.

— ნუთუ?.. კე იმისთანა საჭმელია, რომ მხელად თუ კაცი ატრე გასუტდეს.

— სრდებით, ჩემო ბატონო, სულ იმისაგან არის დამოკიდებული, ვინ როგორ იმხადებს საჭმელს. მაგალითებ, მე ბრინჯით ქათმებს ვასუტებ, რძით ხბოს ვასაზრდევებ და კართოფლს ღორებს ვუყრია...

— მერე?

— მერე, როცა დასუტებთან, მე თვით განსლებით ხოლმე.

მურნალ-გაზმთამიღვან

(ამოკრებილი ამბები)

„ნიუ-იორკის სამკურნალო გაზეთი ამტკიცებს, რომ დედა-კაცმა ელზა-ენკი არ დაიწყო მკურნალობა, არამედ ძველად მკურნალობდა. ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდე 300 წლის წინად ერთი ახალგაზღვრე ათინელი ქალი დადიოდა სამკურნალო სკოლაში, მართალია, მაშინაც დედა-კაცს

აკრძალული ჰქონდა მკურნალობის შესწავლა, მაგრამ ამ ქალმა ჩიიცვა ვეჯაკური ტანთ-საკმელი და ისე დადიოდა სამკურნალო სკოლაში. ამ ქალს სახელად ერეკვა Agnodice. სწავლის გათავების შემდეგ ავადმყოფებს სწამლობდა. ეს გაიგო მთავრობამ და მკურნალი-დედა-კაცი სამართალში მისცეს, მაგრამ ათინელმა ქალებმა ისეთი ამბავი ასტეხეს, რომ Agnodice აღარ დაუსჯიათ და თვით ის კანონიც, რომლის ძალით დედა-კაცს აკრძალული ჰქონდა მკურნალობა, გაუქმებულ იქნა. საშუალო საუკუნეებში მრავალს დედა-კაცს მიუღია მკურნალობის მოწმობა. ამ ქალებს სწავლა ჰქონიათ დამთავრებული ესპანიის უნივერსიტეტებში. მეთერთმეტე საუკუნეში მთელს ევროპაში ჰქონდა სახელი განთქმული საღვინოს მკურნალ-დედა-კაცს ტოტულა-დე-რუჯიეროს. მეთერთმეტე საუკუნეში ერთ-დედა-კაცს დოროტეა ლოკის არა თუ მკურნალის მოწმობა ჰქონდა, არამედ ბოლო-ნიის უნივერსიტეტში პროფესორად იყო და მკურნალობას ასწავლიდა სტუდენტებს. ამის შემდეგ ბოლონიისავე უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორებად იყვნენ: ანა მონგოლინი და მარია დელა-დონა. საფრანგეთშიაც ბევრი ყოფილა ჯარა-ექიმი-დედა-კაცი.

ცნობილი კომედია ედმონდ რუსტინისა, სახელად „Cyrano de Bergerac“ ელზაან 200 ჯერ ითამაშეს. ამ პიესის ავტორი თითო წარმოდგენიდან იღებს ჯილდოდ 1000 ფრანკს. საუკუნადღებოა შეგადართ ამ ჯილდოს, თუ რამდენს იღებდნენ თავიანთ პიესებში უწინდელი მწერლები. სახელოვანი მწერალი ისე ცოტა ჯილდოს იღებდა თავის პიესებში, რომ სახსენებელიც არ არის. უწინ თვით არტისტები ყიდულობდნენ ხოლმე იაფად მწერალისაგან ახალს პიესას და თუ კარგი გამოდგებოდა, თითონ იგებდნენ. მე-XVII საუკუნეში ერთმა ავტორმა, სახელად გარდინ თვისი პიესა 3 ტალერად (!) გაყიდა. სახელოვანმა რასინმა პიესა „ანდრომახა“ გაყიდა 150 ტალერად, კინამ ერთი პიესა გაყიდა 50 ტალერად და ეს ფულიც დიდის დავიდარბისა და ლაპარაკის შემდეგ ძლიერ მიიღო. ისიც მომხდარა, რომ ავტორს თავისი პიესაში გროშიც არ მიუღია. ამგვარად უწინდელი სახელოვანი მწერალი ძალა-უნებურად კმაყოფილი იყვნენ იმით, რასაც მეფე ან სხვა ვინმე წარჩინებულნი კაცი უწყალობებდნენ. ზოგიერთი მწერალი დიდს ქებასა და ხატებს ასხავდა მიღდარ და წარჩინებულ კაცებს, რა არის ერთი-ორი გროში გვიწყალობეთ. ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ კორნელიმ თავისი თხზულება „Cinna“ უძღვნა მდიდარსა და გამოჩინებულ კაცს Montaurons, რომელსაც იმდენი ქება-დიდება შესხა, რომ ყველანი გაცუბულნი იყვნენ კორნელის პირმოთხოვით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ივლისი

პეტერბურგში. ხელმწიფე იმპერატორმა, ჯილდოდ იმ წეს-რიგისა, ვეჯაკოლისა და მამაცობისათვის რომელიც გამოიჩინეს თურქეთის მე-20 ბატალიონის მე-4 და 5 რატიის ყველა აფიცრებმა და ჯარისკაცებმა, 18 მისი, ანდიანუმ 1000 კაცის თავს-დასხმის-დროს, — უბოძა მცხოვრებთა უფროს, პოდპოლკოვნიკს მიხაილოვს პოლკოვნიკობა, პოდპოლკოვნიკს კარსელომეს — ორდენი წმ. ელადიმერის მე-4 ხარისხისა მახვილებითა და ბანტით. და ორივე რატიის ჯარის-კაცებს სამხედრო ორდენის 10 ნიშანი.

ვაშინგტონი. გენერალი მაილსი გადავიდა გენიკისთან პორტო-რიო-კოში.

ვაშინგტონი. ესპანეთში პირდაპირ მიმართა მაკინლიეს და ფორმარული წინადადება მისცა საფრანგეთის საელჩოს საშუალებით ზავის შესახებ მოლაპარაკება დავიწყოთ.

პარიში. გამომძიმებლმა ბერტიულისმა გადასცა რესპუბლიკის პროკურორს მთელი საქმე ესტერგაზისა, აგრეთვე პიკარის საჩივარი პოლკოვნიკის დიუ-პარი-დე კლამის წინააღმდეგ.

პარუზი. რუმინის მეფე და პრინცი ფერდინანდი პეტერბურგში წავიდნენ ოთხშაბათს დილის 9 საათსა და 37 წ.

ვაშინგტონი. (ოფიციალური) ნაშუადღეს კამბონმა გადასცა მაკინლიეს, ესპანიის სახელით, ენისტოლე, რომელიც შეეხება ომის მოსპობას ზავის პირობების დადებას.

გამზარში. თავადი მისმარკი ძალიან ავად არის.

ლონდონი. „Times“-ს დებეშით ატყობინებენ, რომ კვან-სის სამხრეთ ნაწილში ამბოხება ჯერ კიდევ არის.

პარიში. გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი საპატრიო ლეგიონის სიიღვან ზოლას დროებით გამოორისხვის შესახებ.

პაზანა. განზანილიოში ახალი არაფერია ამერიკელები ქ. კალიკსტოსთან ღვანან. კუბის წარჩინებული მცხოვრებნი უწინდლები აცხადებენ, დამოუკიდებლობას ამერიკისთან შეერთება გვიჩვენია, რადგანაც დამოუკიდებლობა მეამბოხეთა ხელში ჩაგვადგებოდა.

მინსკი. გარდაიცვალა თავის მამულში სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ ადიუტანტი, თავადი ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლსკი-მირსკი.

პეტერბურგის ბაჭყა, 14 ივლისი

მედიცინის	გაყვანის	გაყვანის	გაყვანის
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
50/0,-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - ახნაურო ბანკისა	216	—	—
41/2/0 გირავნობის ფურცლები ახვე ბანკისა	97/8	—	—
6/0 ფურცლები ქუთაისის სათავად-ახნაურო ბანკისა	—	—	—
5/0 იხვე ბანკისა.	—	—	—
6/0 ტფილისის სათავად - ახნაურო ბანკისა	—	—	—
5/0 იხვე ბანკისა.	—	—	—
5/0 ობლოვაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	100/4	—	—
5/0 პირველი შინაგან სესხის მომკვიდრნი ბილეთი	—	—	288
5/0 მეორე შინაგან სესხის მომკვიდრნი ბილეთი	248 1/2	—	—

განსვალეგანი

ივანე იაკობის ძე

დოლოგოლენკო

5 ივლისიდან მ. ზორში იკისრებს და აწარმოებს მსურველთა საშუალებას, სამუღების გამოჯენისა და სისხლის მამართლის საქმეებს საზოგადო და მომრიგებელ სამომართლო დაწესებულებაში. ქალ. გოარი, სახლი სტუფანე ზუბიევისა. ჩემ შინ არ ყოფნის დროს მსურველთ მიმართონ სტუფანე იოსების ძე ზუბიევის, რომელიც იქავე სცხოვრობს. (3-102-3)